



გაიმართა საერთაშორისო თანამშრომლობის კომისიისა და მორწმუნეთა დაცვის რელიგიათაშორისო სამუშაო ჯგუფის კომისიის სხდომა



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 02.27.2023. 27 თებერვალს რუსეთის საპატრიარქოს საგარეო საკლესიო კავშირების განყოფილებაში რუსეთის პრეზიდენტთან არსებული საერთაშორისო თანამშრომლობის კომისიის და დისკრიმინაციისა და ქსენოფობიისგან მორწმუნეთა დაცვის რელიგიათაშორისო სამუშაო ჯგუფის ერთობლივი სხდომა გაიმართა.

შეხვედრას, რომელსაც ხელმძღვანელობდა სსკგ-ის თავმჯდომარე, საერთაშორისო თანამშრომლობის კომისიის ხელმძღვანელი, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი, ესწრებოდნენ: რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან არსებული სამმართველოს უფროსის მოადგილე საშინაო პოლიტიკის საკითხებში ა.იუ. ვილეგუანინი; საშინაო პოლიტიკის საკითხებში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან

არსებული სამმართველოს რელიგიურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსი ე.ვ. ერემინი; მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მრჩეველი დეკანოზი ნიკოლოზ ბალაშოვი; სომხეთის სამოციქულო ეკლესიისა რუსეთისა და ნოვო-ნახიჩევანის ეპარქიის ეკლესიის წარმომადგენელი მღვდელი გეორგ ვარდანიანი; ევანგელისტური რწმენის ქრისტიანთა (ორმოცდაათიანელთა) რუსეთის გაერთიანებული კავშირის მეთაური ეპისკოპოსი ს.ვ. რიახოვსკი; რუსეთის ფედერაციის მუსლიმთა სულიერი ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოადგილე საერთაშორისო საკითხებში რ.რ. აბიასოვი; რუსეთის ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის მთავარეპისკოპოსის მოადგილე ა.ვ. ტიხომიროვი; საერთაშორისო ისლამური მისიის თავმჯდომარე შ.ა. უმბახევი; რუსეთის ბუდისტური ტრადიციული სანგას ხამბო ლამა დამი-ნიმა სოდნომდორჟიევი; მეშვიდე დღის ადვენტისტ ქრისტიანთა ეკლესიის გენერალური კონფერენციის ევრო-აზიური განყოფილების თავმჯდომარის პირველი მოადგილე ო.ვ. გონჩაროვი, ასევე კომისიის სხვა წევრები და მონვეული ოფიციალური პირები. რუსეთის ფედერაციის რელიგიური ორგანიზაციების გამოცდილების მაგალითზე დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკებისათვის, ზაპოროჟიესა და ხერსონის ოლქების მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის თაობაზე დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა სსკგ-ის მდივანი ქრისტიანთაშორისო სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი დისკრიმინაციისა და ქსენოფობიისგან დაცვის საქმეში მღვდელმონაზონი (სტეფანე იგუმნოვი).

მოხსენება, რუსეთის ფედერაციის ტრადიციული რელიგიური ორგანიზაციების მონაწილეობის პერსპექტივებზე რელიგიათაშორის შეხვედრებში მონაწილეობის შესახებ, გააკეთა სსკგ-ის მდივანმა შორეული საზღვარგარეთის საქმეებში, საერთაშორისო თანამშრომლობის კომისიის აღმასრულებელმა მდივანმა დეკანოზმა სერგი ზვონარიევმა.

შეხვედრის დასასრულს, მიტროპოლიტმა ანტონიმ ყველა დამსწრეს ღვთივეკურთხეული წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.